1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

21

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (99) იანვარი 1960 წ.

585

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

1. ცხაკაიას რაიონში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

2. ყვარლის რაიონის ახალსოფლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

4. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

5. ბრძანებულება მხატვარ გ. პ. მესხისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

6. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების" სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივნის შესახებ.

7. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცხაკაიას რაიონში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და სკკპ XXI ყრილობის დადგენილებით საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის. დაწესებულ ვადებში, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმების საფუძველზე ტარდება საბჭოების სესიები და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომები, რომლებიც იხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხებს. საკითხების მომზადებასა და განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ მუდმივი კომისიები, ცალკეული დეპუტატები და სოფლის აქტივი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მუდმივი კომისიების მუშაობა. საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განხილულ საკითხთა უმრავლესობა უშუალოდ კომისიების მიერ, ან მათი მონაწილეობით არის მომზადებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან გეჯეთის, ძველი სენაკის, ახალსოფლისა და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები.

დეპუტატების უმრავლესობა შეუდგა მუშაობას იმ წინადადებათა განხორციელებისათვის, რომლებიც წამოაყენეს ამომრჩევლებმა დეპუტატების მიერ ანგარიშების ჩაბარების დროს.

ამომრჩეველთა მოთხოვნის შესაბამისად, ახალსოფლის სასოფლო საბჭოს დეპუტატ ა. მაკალათიას ინიციატივით ელექტროფიცირებულ იქნა ამ სოფლის ერთი უბანი. დეპუტატ ა. კაჭარავას ინიციატივით გაყვანილ იქნა რადიო, ხოლო დეპუტატ შამათავას თაოსნობით დაინიშნა ახალი საავტომობილო მარშრუტი ცხაკაია—ტეხური.

ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სახალხო განათლების, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, საგზაო მშენებლობის, ფულადი სახსრების მობილიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულების საქმეში.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს ორგმასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებები. ზანის, უშაფათის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში ადგილი აქვს აღმასკომების სხდომების მოუმზადებლად ჩატარებას და სესიებისა და აღმასკომების მოწვევის დაწესებული ვადების დარღვევას. ამასთან ხშირია სესიაზე დეპუტატთა გამოუცხადებლობის შემთხვევები. ზანის სასოფლო საბჭოში 23 დეპუტატიდან ყოველ სესიას სისტემატურად აკლდება 6—8 დეპუტატი, ხოლო თეკლათის სასოფლო საბჭოში 21 დეპუტატიდან 5—6 დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს სესიაზე სათანადოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ამასთან ზოგი დეპუტატის აქტივობა დასმული საკითხების განხილვაში საკმარისი არ არის. ხშირია შემთხვევები, როცა კამათში ერთი და იგივე დეპუტატები გამოდიან.

ნაკლოვანებები არსებობს მუდმივი კომისიების მუშაობაშიც. სასოფლო საბჭოების ზოგიერთ მუდმივ კომისიას არ ჰყავს შემოკრებილი აქტივი, ხოლო ზოგი მუდმივი კომისია იშვიათად ამზადებს საკითხებს სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის. ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივმა კომისიებმა არჩევნების შემდეგ განვლილ 9 თვეში აღმასკომის სხდომისა და სესიისათვის მხოლოდ თითო საკითხის მომზადება შესძლეს, ხოლო ზანის სასოფლო საბჭოს მუდმივმა კომისიებმა თითო სხდომა ჩაატარეს.

ცალკეული სასოფლო საბჭოები ყურადღებას არ აქცევენ აღმასკომების და მუდმივი კომისიების ანგარიშების მოსმენას, ხოლო ზოგან ამას ფორმალური ხასიათი აქვს. ზანის სასოფლო საბჭოს არ მოუსმენია აღმასკომის და მუდმივი კომისიების ანგარიშები, ხოლო შხეფის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ანგარიში მარტოოდენ ციფრების ჩამოთვლას წარმოადგენს, მასში არ არის აღმასკომის მუშაობის ღრმა, საქმიანი ანალიზი.

სასოფლო საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკუთარი და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების განხილვისა და შესრულების საქმეს, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი შეუსრულებელი რჩება.

ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენენ საბჭოების სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაზე, რის გამოც ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ სრულდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ფულადი შემოსავლის გეგმები. მენჯის ლენინის და მარქსის სახელობის კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და მეცხოველეობის სულადობის გეგმები. რაიონში არ შესრულდა აგრეთვე საკვები ძირხვენების, ერთწლიანი ბალახების თესვის და თივის დამზადების გეგმები. თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ თივის დამზადების გეგმა მხოლოდ 14,2 პროცენტით შეასრულა, ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ — 33,2 პროცენტით, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 50,7 პროცენტით.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეს შხეფის, თეკლათის და ნოსირის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში, რის გამოც ბევრია იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც გამომუშავებული არა აქვთ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 3-წლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობას. ბევრი ობიექტის მშენებლობა, რომელიც 1958—1959 წლებში უნდა დამთავრებულიყო, დაწყებულიც კი არ არის.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების საქმე. რაიონის ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში იშვიათად ტარდება კინოსეანსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ხდება მოწინავე აღმასკომების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების გამოცდილებათა განზოგადება. რაიონული გაზეთი „ავანგარდი" არადამაკმაყოფილებლად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას და ნაკლებად აშუქებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობას. 1959 წელს მან საბჭოების მუშაობის შესახებ მხოლოდ სამი წერილი გამოაქვეყნა. გაზეთში არ იბეჭდება რაიისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკების, სასოფლო საბჭოების აღმასკომების და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა, მდივნების და დეპუტატების წერილები. ადგილობრივი საბჭოების აქტივში ძალზე მცირე რაოდენობითაა გავრცელებული ჟურნალი „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები" და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები".

ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ ვერ უწევს სათანადო დახმარებასა და კონტროლს სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონულ. საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გაატარონ ღონისძიებანი ადგილობრივი საბჭოების ორგანოებრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მიაღწიონ იმას, რომ რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების სესიები და აღმასკომების სხდომები ტარდებოდეს დადგენილ ვადებში და ორგანიზებულად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განსახილველი საკითხების შერჩევისა და მომზადების საქმეს. სესიებისა და აღმასკომების განსახილველად დაიყენონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იაეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრას. საკითხების მომზადებაში ფართოდ ჩაებან მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი. მიიღონ კონკრეტული. საქმიანი გადაწყვეტილებები და სისტემატური კონტროლი დაწესონ მათ შესრულებაზე. აამაღლონ დეპუტატთა აქტივობა სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე საკითხების განხილვის დროს.

პრაქტიკაში დანერგონ მორიგ სესიებზე ინფორმაციების მოსმენა წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების. აგრეთვე დეპუტატთა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების საფუძველზე მიღებული ზომების შესახებ;

გ) საჭირო დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. პერიოდულად ჩაატარონ მათი თავმჯდომარეების და მდივნების თათბირები. გააცნონ საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები. მოაწყონ მოწინავე მუდმივი კომისიების გამოცდილებათა განზოგადება. მუდმივი კომისიების მუშაობა წარმართონ დებულების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გააძლიერონ დეპუტატებისადმი დახმარება, მოამზადონ ისინი სათანადო საცნობარო მასალებით, დაეხმარონ ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციულად მოაწესრიგონ ამომრჩეველთა განწესების აღრიცხვა, შესწავლა, განხილვა და უზრუნველჰყონ მათი განხორციელება;

ე) სასოფლო საბჭოების დებულებით გათვალისწინებულ ვადებში მოაწყონ აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების ანგარიშების მოსმენა საბჭოების სესიებზე, ამასთან ანგარიშების ჩაბარებას მისცენ უფრო საქმიანი ხასიათი, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინონ დეპუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები;

ვ) გააუმჯობესონ მუშაობა ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, წესრიგში მოიყვანონ ადგილობრივი გზები, აამაღლონ ორგანიზატორული მუშაობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების დამთავრებისათვის;

ზ) ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მკიდრად დაუკავშირონ საბჭოების სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და ფულად შემოსავლის ზრდას;

თ) განსაკუთრებით გააძლიერონ ხელმძღვანელობა კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დარგებისადმი.

2. დაეკალოს ცხაკაის რაიონულ გაზეთ „ავანგარდის" რედაქციას გააუმჯობესოს გაზეთის ფურცლებზე ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაშუქება, ამასთან სისტემატურად გასწიოს მოწინავე სასოფლო საბჭოების, მუდმივი კომისიებისა და ცალკეული დეპუტატების მუშაობის პროპაგანდა.

3. დაეკალოს ცხაკაის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. დ. მ. ბაღათურია) გააძლიეროს ხელმძღვანელობა საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებისადმი, გაუწიოს მათ ყოველდღიური დახმარება და ამ მიზნით პერიოდულად მიავლინოს ადგილებზე აპარატის მუშაკები, ამასთან ჩაატაროს ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთათვის თათბირ-სემინარები საბჭოთა მშენებლობისა და საბჭოების მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 8 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ყვარლის რაიონის ახალსოფლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყვარლის რაიონის ახალსოფლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში წარმატებათა მოპოვებისა და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა სასოფლო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დახმარებით საგრძნობლად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, რის შედეგადაც გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა კოლმეურნეობების ფულადი და ნატურალური შემოსავალი, მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა. გადაჭარბებით სრულდება ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის გეგმები.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესაბამისად სოფ. ახალსოფელში აშენდა კეთილმოწყობილი კულტურის სახლი და ნახევრად მექანიზებული აგურის ქარხანა. დამთავრების პროცესშია ამბანოს მშენებლობა, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მოხრეშილია სოფლის ცენტრალური გზა 3 კილომეტრის მანძილზე. სოფელ ბალღოჯიანში დამთავრდა კლუბის მშენებლობა და სოფლის ელექტროფიცირება.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის მუშაობას წარმართავს წინასწარ შეღგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით, გეგმით გათვალისწინებული საკითხების მომზადებაში იგი ფართოდ იყენებს დეპუტატებს, მუდმივ კომისიებსა და სოფლის აქტივს.

ამომრჩეველთა მოთხოვნის შესაბამისად, დეპუტატების დ. მიხეილიძის და ბ. სხირტლაძის თაოსნობით სოფელ ბალღოჯიანში აშენდა მაღაზიის შენობა და გაკეთდა 4 ბოგირი. დეპუტატ მ. ალიაშვილის ინიციატივით მიმდინარე წელს სოფელ ახალსოფელში გაიხსნება სამავშვო ბაღი.

კარგად არის დაყენებული მუშაობა საბჭოს დეპუტატებთან. მოწყობილია დეპუტატის ოთახი, სადაც დაწესებულია დეპუტატთა მორიგეობა, შემოღებულია დეპუტატთა წინადადებების აღრიცხვის ჟურნალი, ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი „დეპუტატი“, რომელიც აშუქებს დეპუტატთა მოღვაწეობის **საკითხებს.**

ამასთან ერთად, ახალსოფლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს ერთგვარი ნაკლოვანებანი. სასოფლო საბჭო ვერ ატარებს ქმედით ღონისძიებებს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის, რის შედეგადაც კოლმეურნეთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. გარდა ამისა, სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ მთისძირისა და ბალღოჯიანის კოლმეურნეობებში დღემდე არ არის გატარებული ცხოვრებაში მთა მიერ 1957 წელს მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების დაცვის **შესახებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში არ არის შესრულებული ყურძნისა და სიმინდის მოსავლიანობის, დედა ღორების და ფრინველის სულადობის გეგმები. დაბალია წველადობა ბალღოჯიანისა და მთისძირის კოლმეურნეობებში, უფრო მეტიც, ამ კოლმეურნეობებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთ სფურაკე ძროხაზე წველადობა შემცირდა.

ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები მეტწილად იმითაა გამოწვეული, რომ ორგანოებრივი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში ყველა დეპუტატი არ მონაწილეობს. საკითხების განხილვისას სათანადოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, სესიისა და აღმასკომის მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება არაკონკრეტულია. არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი მიღებული გადაწყვეტილებების მოსახლეობამდე დაყვანისა და შესრულების შემოწმების საქმე, რის გამო ზოგი მათგანი შეუსრულებელი რჩება.

სუსტად მუშაობს საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისია, ისინი იშვიათად ამზადებენ საკითხებს სასოფლო საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის.

არის შემთხვევები, როცა აღმასკომი სათანადო მზრუნველობას არ იჩენს დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებების განხორციელებისათვის. არ არის შესრულებული დეპუტატების მ. ფეხმაშვილის, თ. ნატროშვილის, შ. მაყაშვილის, თ. ყებათის და სხვების წინადადებები.— სოფელ მთისძირის რადიოფიცირებისა და ელექტროფიცირების სამუშაოთა ჩატარების, სკოლის მშენებლობის დაწყების, ბოგირების გაკეთებისა და სოფელ ახალსოფელში ამბულატორიის შენობის აგების შესახებ. ეს მაშინ, როცა ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო საშუალებები არსებობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოს ყვარლის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ს. ღლონტი) გაუმჯობესოს სასოფლო საბჭოს მუშაობა და აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის; მიაღწიოს იმას, რომ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს საკოლმეურნეო შრომაში;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგომარეობა. დაეხმაროს კოლმეურნეობებს წესდებით დაწესებული საკარმიდამო ნაკვეთების ნორმების მოწესრიგებაში;

გ) უზრუნველყოს კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების, მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის და ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმების დაწესებულ ვადებში შესრულება;

დ) სისტემატურად შეისწავლოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის მიმდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობა და დასახოს სათანადო ღონისძიებანი მშენებლობის ვადაზე და ხარისხიანად დამთავრებისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო საბჭოში შემავალი დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას და სანიტარული წესრიგის დაცვას. ამ საქმეში ფართოდ ჩააბას საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობა;

ვ) მიიღოს ქმედითი ზომები დეპუტატების და ამომრჩევლების მიერ შემოტანილი წინადადებების განხორციელებისათვის;

ზ) საჭირო დახმარება გაუწიოს მუდმივ კომისიებს მუშაობაში, მოისმინოს მათი ანგარიშები სესიებზე და პერიოდულად ჩაატაროს კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე;

თ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს მიღებული გადაწყვეტილების მოსახლეობამდე დაყვანის, მათი შესრულების შემოწმებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეს.

2. დაევალოს ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. მ. დავითაშვილი) სისტემატური დახმარება გაუწიოს ახალსოფლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომს არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და სკკპ XXI ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 8 იანვარი

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 8 იანვარი

დანართი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1960 წლის 8 იანვრის
ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ
ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის
ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნუსხა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც ძალადაკარგულად არის ცნობილი

1. საქ. სსრ რევ. კომიტეტის 1921 წლის 5 აგვისტოს № 52 დადგენილება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზაციის შესახებ“ (მოამბე, 1921 წ., № 14).

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის 31 დეკემბერს დამტკიცებული დებულება „სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ“ (მოამბე, 1922 წ., № 28).

3. საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის 1922 წლის 20 იანვრის დეკრეტი № 89 „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ“ დებულება (მოამბე, 1922 წ., № 30, გვ. 2—6).

4. სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმას. კომიტეტის 1923 წლის 18 აპრილის დეკრეტი „მემკვიდრეობის სამართლის შესახებ“ (კან. კრებ., 1923 წ., № 1, მუხ. 16).

5. სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმას. კომიტეტის 1924 წლის 4 აპრილის დეკრეტი „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის და მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნული უმცირესობის ენის ხმარების შესახებ“. მიღებულია სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტის მეორე მოწვევის მეორე სესიის მიერ 1924 წ., 27 თებერვალს (კან. კრებ., 1924 წ., № 1, მუხ. 10).

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 27 მაისის დადგენილება № 92 „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში სამრეწველო საწარმოთა გახსნის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1924 წ., № 1, მუხ. 27).

7. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 25 ივნისის დადგენილება № 33 „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1925 წ., № 2, მუხ. 45).

8. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება № 64 „საავტერინარო წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1925 წ., № 3, მუხ. 87).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის 10 აგვისტოს დადგენილება № 56 „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის მოწყობის შესახებ“ (კან. კრებ., 1926 წ., № 4, მუხ. 95).

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 6 დეკემბრის დადგენილება № 79. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დაწესებულებათა მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და უმაღლესი ეკონომსაბჭოს დავალებათა შესრულების შესახებ“ (კან. კრებ., 1926 წ., № 7, მუხ. 141).

11. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 15 იანვრის დადგენილება № 6 „იმ საზოგადოებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესისა, რომლებიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 1, მუხ. 6).

12. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 1 თებერვლის დადგენილება № 10 „ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების პროცესში კრედიტების გადანაცვლების შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 2, მუხ. 17).

13. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 3 თებერვლის დადგენილება № 13 „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის შეთანხმებისა და განსაზღვრის შესახებ საკურორტო საქმის იმ საკითხების სფეროში, რაც მიწის წიაღის გამოყენებაზეა დაკავშირებული“ (კან. კრებ., 1927 წ., № 2, მუხ. 20).

14. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 5 მარტის დადგენილება № 26 „საგლეხო მეურნეობისათვის მიყენებული წინახედის ფაქტის გამოკვეევისა და ამ წინახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 3, მუხ. 38).

15. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 7 მარტის დადგენილება № 29 „ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების განაწილებისა და სარგებლობის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 3, მუხ. 41).

16. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის 15 მარტის დადგენილება № 34 „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის 30 თარიღით და მე-13 №-ის დადგენილებით დაარსებული „მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ სახელწოდების შეცვლისა ამავე კომიტეტის მიერ „საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტ-

თან მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ“—1922 წ. ოქტომბრის 30 თარიღით და მე-13 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმებისა და „მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ დებულების დამტკიცების შესახებ (კან. კრებ., 1927 წ., № 3, მუხ. 46).

17. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 3 მაისის დადგენილება № 46 „ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში გეგმიანობის შეტანის შესახებ“ (კან. კრებ., 1927 წ., № 5, მუხ. 75).

18. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 15 დეკემბრის დადგენილება № 105 „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვასა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მიწოდებასთან“ (კან. კრებ., 1927 წ., № 12, მუხ. 166).

19. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის 18 აპრილის დადგენილება № 21 „ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარმოებში შენარჩუნებული სარგოს შესახებ“ (კან. კრებ., 1928 წ., № 6, მუხ. 45).

20. სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება № 86 „მუშათა ბინების მშენებლობის განმახორციელებელ საწარმოთა მიერ სესხოლო შენობების აგების შესახებ“ (კან. კრებ., 1928 წ., № 16, მუხ. 156).

21. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის 29 დეკემბრის დადგენილება № 104 „საბჭოთა საარჩევნო კამპანიის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშების საწარმოში მუშაობისაგან გათავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენახვის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 2, მუხ. 22).

22. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 10 მაისის დადგენილება „საქართველოს ყოფილ სადგილმამულო ბანკებში და თბილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ შენობებზე დოკუმენტების დუბლიკატების გაცემის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 12., მუხ. 106).

23. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 5 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 13, მუხ. 127).

24. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ივლისის დადგენილება „საძოვრების გამგეთა და საძოვრების დარაჯთა განმასხვავებელი ნიშნების დაწესების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 17, მუხ. 183).

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „კერძო პირთა სასარგებლოდ შესრულებული ამა თუ იმ მუშაობის ხარჯების ასანაზღაურებლად სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანაბრებული დაწესებულებებისათვის განსაკუთრებული გამოსაღების შემოღებისა და გადახდევინების უფლების მიცემის შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 17, მუხ. 187).

26. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 5 სექტემბრის დადგენილება „არაშემძღვნელ ცნობილი პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების საქმეთა ლიკვიდაციის ერთი ლიკვიდატორისათვის დაკისრების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 19, მუხ. 204).

27. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება „ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1929 წ., № 22, მუხ. 269).

28. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 15 დეკემბრის დადგენილება „ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმისწარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 1, მუხ. 3).

29. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 6 იანვრის დადგენილება „სასოფლო საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობისა და მათი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 3, მუხ. 31).

30. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 6 იანვრის დადგენილება „სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა კომისიისათვის სახელმწიფო დროშის დამზადების და გავრცელების მონოპოლიური უფლების მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 3, მუხ. 39).

31. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 11 მარტის დადგენილება „სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 9, მუხ. 79).

32. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 26 მარტის დადგენილება „პროფესიონალური წარმოებითი კავშირების წევრთა ქერივებისათვის და გაყრილი ცოლებისათვის ზოგიერთი შეღავათის მინიჭების შესახებ“. (კან. კრებ., 1930 წ., № 10, მუხ. 109).

33. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 ივლისის დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილება „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 14, მუხ. 206).

34. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მსახურთათვის სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ“. (კან. კრებ., 1930 წ., № 16, მუხ. 247).

35. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „ფიზიკური კულტურის მშენებლობის წამახალისებელ და მომ. წესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1930 წ., № 16, მუხ. 250).

36. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა, ტეხნიკუმებსა, მუშათა ფაკულტეტებსა და საქართხონ-საფაბრიკო სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“, (კან. კრებ., 1930 წ., № 23, მუხ. 330).

37. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 10 დეკემბრის დადგენილება „წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1930., № 24, მუხ. 340).

38. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 10 დეკემბრის დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის მიწების მიჩენის წესის შესახებ (კან. კრებ., 1930 წ., № 24, მუხ. 344).

39. სრ. საქ. ც. ა. კ. და საქ. სსრ ს. კ.-ოს 1931 წლის 7 იანვრის დადგენილება „სამრეწველო მუშებისათვის საბინაო სფეროში ზოგიერთი შეღავათის მინიჭების შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 3, მუხ. 42).

40. სრ. საქ. ც. ა. კ.-ის და საქარ. სსრ. ს. კ. ს-ოს 1931 წლის 29 იანვრის დადგენილება „საარაონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 3, მუხ. 27).

41. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 29 იანვრის დადგენილება „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის და კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 3, მუხ. 33).

42. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 1 მარტის დადგენილება „სასოფლო საბჭოებისათვის სოფლად თავისუფალი მუშა-ძალის გამორკვევის მოვალეობის დაკისრების შესახებ“ (კან. კრებ., 1931 წ., № 8, მუხ. 84).

43. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილება „მილიციის ორგანოებისათვის და სხვა თანამდებობის პირთათვის დანა-

შაულობასთან ბრძოლის საქმეში დახმარების აღმოჩენის დროს დაზარალებულ მოქალაქეთა უზრუნველყოფის შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 10, მუხ. 122).

44. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საარაინო დაწესებულებების მიერ საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 10, მუხ. 114).

45. სრ. საქ. ც. ა. კ.-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 10, მუხ. 116).

46. სრ. საქ. ც. ა. კ.-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 27 აპრილის დადგენილება — „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მოქმედი საწარმოო საამხანაგო სასამართლოების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 11, მუხ. 129).

47. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 27 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 12, მუხ. 137).

48. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს-ოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილება „სასოფლო საბჭოებისათვის უფლების მინიჭების შესახებ, რათა მათ ადმინისტრატიული წესით დაადონ გადასახდელი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მფლობელთ, უკეთუ ისინი არ შეასრულებენ მტკიცე დავალებებს ან ამ დავალებათა შესრულებას თავს აარიდებენ" (კან. კრებ., 1931 წ., № 12, მუხ. 134).

49. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1931 წლის 27 მაისის დადგენილება „გლეხთა სახლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 12, მუხ. 136).

50. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 4 ივლისის დადგენილება „სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში მუშაობისათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 14, მუხ. 163).

51. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1931 წლის 28 ნოემბრის დადგენილება „კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ" (კან. კრებ., 1931 წ., № 24, მუხ. 261).

52. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1931 წლის 31 დეკემბრის დადგენილება „სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" (კან. კრებ., 1932 წ., № 3, მუხ. 25).

53. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1932 წლის 20 იანვრის დადგენილება „კინოფიკაციის ფონდების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ" (კან. კრებ., 1932 წ., № 3, მუხ. 26).

54. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1932 წლის 13 აპრილის დადგენილება „სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებ[illegible] ობაზე ცნობების მიღების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 11, მუხ. 68).

55. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილება „ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 13, მუხ. 91).

56. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 19, მუხ. 145).

57. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 19, მუხ. 146).

58. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1932 წლის 2 ივლისის დადგენილება „თურქული დამწერლობისათვის უნიფიცირებული ლათინიზირებული ალფაბეტის შემოღების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 17, მუხ. 139).

59. სრულიად საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1932 წლის 22 ივლისის დადგენილება „მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებების მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ პრიგადებად რეორგანიზაციის შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 20, მუხ. 157).

60. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1932 წლის 15 სექტემბრის დადგენილება „იმ სააღგილმამულო დავების და ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, რესპუბლიკური და სარაიონო კომისიების დაარსების შესახებ“ (კან. კრებ., 1932 წ., № 23, მუხ. 221).

61. სრ. საქ. ც. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის, სასროლი მასალის და ფეიერვერკების ვაჭრობისა, ამ იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენის, შენახვის და გამოყენებისა, აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნების გაცემისა და პიროტექნიკური საწარმოს და სასროლი ტირების გახსნის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 5, მუხ. 66).

62. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობისა, სარეწაო კოოპერაციისა, ინვალიდთა კოოპერაციისა და შინა-სარეწაოების დაგეგმვისა, საერთო მოწესრიგებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 5, მუხ. 71).

63. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს-ოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „შრომის ჯაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 5, მუხ. 75).

64. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. ს. კ. ს-ოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 5, მუხ. 78).

65. სრ. საქ. ც. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 20 თებერვლის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულად დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 6. მუხ. 93).

66. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 14 აპრილის დადგენილება „სასოფლო-აგრო-ზოორწმენებულთა დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 10, მუხ. 131).

67. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 10 ივლისის დადგენილება „საკუთარი მეურნეობის მქონე მუშათა, მოსამსახურეთა და უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 17, მუხ. 240).

68. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობის გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 25, მუხ. 323).

69. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1933 წლის 27 ნოემბრის დადგენილება კოლექტიური მეურნეობების მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საადგილმამულო დავებისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 1 მუხ. 17).

70. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1933 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „არასწორე საღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე საღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 1, მუხ. 34).

71. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს-ოს 1934 წლის 14 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 18, მუხ. 156).

72. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1934 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „სასოფლო საბჭოებთან მეცხოველეობის სექციების მოწყობის და მათ შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 27, მუხ. 207).

73. სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1934 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1934 წ., № 27, მუხ. 208).

74. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1935 წლის 11 მაისის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1935 წ., № 16 მუხ. 107).

75. სრ. საქ. ც. ა. კ.-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1935 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება „მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრებ., 1935 წ., № 29, მუხ. 185).

76. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1936 წლის 31 მარტის დადგენილება „ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის შესახებ“ (კან. კრებ., 1936 წ., № 12, მუხ. 75).

77. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1936 წლის 15 სექტემბრის დადგენილება „ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დახმარების სალაროებში სადაზღვევო გადასახდელის შეტანის წესის შესახებ“ (კან. კრებ., 1936 წ., № 25, მუხ. 150).

78. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს 1936 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „მალარიასთან ბრძოლის ღონეულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1936 წ., № 33, მუხ. 197).

79. სრ. საქ. ც. ა. კ-ის და საქ. ს. კ. ს.-ოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებში ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ“ (კან. კრებ., 1937 წ., № 2, მუხ. 15).

4. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. აბდალაძე ვიქტორ გიორგის-ძე	— ქუთაისის საქალაქო I სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური
2. ბრეგვაძე ვახტანგ ვასილის-ძე	— ქუთაისის საქალაქო II სახანძრო რაზმის მეხანძრე
3. ბუღაძე რუბენ თეოფილეს-ძე	— ქუთაისის საქალაქო III სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი
4. გიგიაძე ბიჭიკო მიხეილის-ძე	— ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე
5. დევდარიანი სიმონ ვლადიმერის-ძე	— ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი
6. ვარდანიძე ოთარ ვლადიმერის-ძე	— ქუთაისის საქალაქო I სახანძრო დაცვის ათეულის მეთაური
7. ფერაძე ნიკოლოზ ლავროსის-ძე	— ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებელი

8. ჟორჟოლიანი მიხეილ ვარლამის-ძე — ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის ყოფილების ოპერატიული მორიგე

9. ჭეიშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ქუთაისის საქალაქო I სახანძრო რაზმის მეხანძრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 8 იანვარი.

5. ბრძანებულება მხატვარ გ. პ. მესხისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, მიენიჭოს მხატვარ გრიგოლ პართენის-ძე მესხს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 8 იანვარი.

6. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ამხ. დურმიშხან ანთიმოზის-ძე ლორია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქ-

ციო კოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად, გათავისუფლდეს ამ მოვალეობიდან ამხ. ეთერი მიხეილის ასული ჩიქვინიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1960 წლის 8 იანვარი.

მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით 430 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან		16
ასპინძის	რაიონიდან	36
ახალქალაქის	„	44
ახალციხის	„	7
ბოგდანოვკის	„	18
გურჯაანის	„	4
დუშეთის	„	5
ზუგდიდის	„	11
ზესტაფონის	„	13
ზნაურის	„	15
მარნეულის	„	113
მახარაძის	„	30
მესტიის	„	28
საგარეჯოს	„	56
ცაგერის	„	12
ჯავის	„	22